

სააქციო საზოგადოება წარმოგიდგენთ 2022 წლის ფინანსურ
ანგარიშგებას, რომელიც მომზადებული არის მცირე და საშუალო
საწარმოების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების
მიხედვით

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

გენერალური დირექტორი - ნინო ურუშაშვილი
დირექტორი - მაია ციხელაშვილი



წ. ურუშაშვილი
მ. ციხელაშვილი

20 ივლისი 2023 წ.

სს ელექტრონიკა - 94

ინდივიდუალური ფინანსური
ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის
დასრულებული წლისთვის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

გენერალური დირექტორი - ნინო ურუმაშვილი

დირექტორი - მათა ციხელაშვილი

20 ივლისი 2023 წ.

შინაარსი:

ფინანსური ინფორმაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

მოგება-ზარალის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 1

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 2

სს „ელექტრონიკა-94“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	2022	2021
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	109,269	272,895
სავაჭრო მოთხოვნები	28,977	37,754
გადახდილი ავანსები	-	-
მარაგები	-	-
სხვა მინდინარე აქტივები	-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები	138,246	310,649
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	6,034,771	5,954,061
არამატერიალური აქტივები	0	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	6,034,771	5,954,061
სულ აქტივები	6,173,017	6,264,710
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	3,145	2,454
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	18,176	17,185
საგადასახადო ვალდებულებები	13,751	54,813
გამოუმუშავებელი შემოსავალი	4,130	0
სასესხო ვალდებულებები	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	39,202	74,452
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0
სულ ვალდებულებები	39,202	74,452
მთლიანი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	168,442	168,442
გადაფასების რეზერვი	5,600,000	5,600,000
გაუნაწილებელი მოგება	365,373	421,816
სულ კაპიტალი	6,133,815	6,190,258
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	6,173,017	6,264,710

გენერალური დირექტორი

დირექტორი

სს „ელექტრონიკა-94“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	2022	2021
ამონაგები	603,090	666,177
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	0	0
საერთო მოგება	603,090	666,177
დასაქმებულთა ანაზღაურება	-226,579	-241,399
ცვეთა და ამორტიზაცია	0	0
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-76,789	-72,539
სულ საოპერაციო ხარჯი	-301,368	-311,534
სულ საოპერაციო მოგება	299,722	352,239
წმინდა დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	1,648	2,404
სულ მოგება დაბეგვრამდე	301,370	354,643
მოგების გადასახადი	-53,672	-52,652
წმინდა მოგება	247,698	301,991

გენერალური დირექტორი

დირექტორი

სს „ელექტრონიკა - 94“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
1 იანვარი 2021	168,442	407,238	-	575,680
გაცემული დივიდენდები	-	-298,366	-	298,366
კაპიტალის სხვა ცვლილება	-	10,953	5,600,000	5,610,953
მთლიანი სრული შემოსავალი		301,991		301,991
31 დეკემბერი 2021	168,442	421,816	5,600,000	6,190,258
გაცემული დივიდენდები		-304,141		304,141
კაპიტალის სხვა ცვლილება				0
მთლიანი სრული შემოსავალი		247,698		247,698
31 დეკემბერი 2022	168,442	365,373	5,600,000	6,133,815

გენერალური დირექტორი

დირექტორი

სს „ელექტრონიკა - 94“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარი)

	2022	2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-163,626	67,576
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	0	0
წმინდა კლება ფულსა და ფულის ეკვივალენტში	0	0
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტს შორის	-163,626	67,576
სავალუტო კურსის ეფექტი	0	0
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის დასაწყისში	272,895	205,319
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის ბოლოს	109,269	272,895

გენერალური დირექტორი

დირექტორი

1.ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს „ელექტრონიკა - 94“ დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. კომპანია დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია როგორც სააქციო საზოგადოება, რომლის საქმიანობა არის საკუთარი ან იჯარით აღებული უძრავი ქონების გაქირავება და მართვის სხვა საქმიანობები. სს „ელექტრონიკა - 94“-ს არ გააჩნია მეკავშირე და შვილობილი საწარმოები. სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორი არის ნინო ურუმაშვილი და დირექტორი მაია ციხელაშვილი. სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან:

თავმჯდომარე/წევრი: ივანე ციხელაშვილი, პ/ნ 15001011894

თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: ვაჟა ციხელაშვილი, პ/ნ 01005035376

წევრი: გივი კეჭერაშვილი, პ/ნ 12001014335

იურიდიული მისამართი: , თბილისი, საბურთალოს რაიონში, გამსახურდიას გამზ., №14

2. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომელიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

2.1 ანგარიშგების მომზადების და წარგენის საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასს“). ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას უახლოეს საპროგნოზო მომავალშიც გააგრძელებს, არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას

ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში

ფუნქციონირებადი საწარმო:

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოო მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს.რის საფუძველზეც ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

2.2 საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში-ლარში, რომელიც წარმოადგებს საანგარიშგებო ვალუტას. უცხოური ვალუტა აღიარებულია ოპერაციის განხორციელების თარიღით არსებული **ეროვნული ზანკის ოფიციალური კურსით**. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები, თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯში, ამ პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებების და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც.

2.3 ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში ფულადი სახსრები და ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოს 31 დეკემბერს არსებული კურსით.

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

2.6 ძირითადი საშუალებების აღრიცხვა

ძირითადი აქტივები ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში ასახულია რეალური ღირებულებით. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტით მცირე და საშუალო საწარმოებისათვის 16.1 _ის პუნქტის მიხედვით: წინამდებარე განყოფილება ეხება მიწის ნაკვეთებსა და შენობანაგებობებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვას, რომლებიც აკმაყოფილებს 16.2 პუნქტში მოცემულ საინვესტიციო ქონების განმარტებას, ასევე ზოგიერთ ქონებრივ ინტერესს, რომელიც მოიჯარეს გააჩნია ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარის საფუძველზე (იხ. პუნქტი 16.3) და აისახება როგორც საინვესტიციო ქონება. ეს განყოფილება ეხება მხოლოდ ისეთი საინვესტიციო ქონების აღრიცხვას, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, შესაძლებელია მუდმივად, ნებისმიერ დროს. ასეთი საინვესტიციო ქონება უნდა აღიარდეს რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საინვესტიციო ქონება

ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობენ მესაკუთრე ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებით, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა:

(ა) გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; ან

(ბ) გაყიდვა საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

2.7 არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათი თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციით. იგი წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამებს, ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, არამატერიალური აქტივები 1-5 წელი

2.8 სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2.9 სესხი-ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხის სახით, რომელიც თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. კომპანია სესხის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება.

სს ელექტრონიკა-94 -ის ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ვალდებულება (12 თვემდე პერიოდი) და გრძელვადიანი ვალდებულება (12 თვეზე მეტი პერიოდი).

2.10 საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით.

2.11 ამონაგები

ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით დაბრუნებების, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით. კომპანია საქმიანობა წარმოადგენს სამშენებლო მომსახურებას თანახმად „მსს ფასს“ 23 -მე განყოფილებისა

საწარმო სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ამონაგებს და დანახარჯებს აღიარებს მათი შესაბამისად (პროპორციულად), რაზედაც შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტები.

2.12 ხარჯი

არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯის აღიარება ხდება გაწევისთანავე, დარიცხვის პრინციპის შესაბამისად. კომპანია საქმიანობა წარმოადგენს სამშენებლო მომსახურებას თანახმად „მსს ფასს“ 23 -მე განყოფილებისა საწარმო სამშენებლო ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ამონაგებს და დანახარჯებს აღიარებს მათი შესაბამისად (პროპორციულად), რაზედაც შედგენილია მიღება-ჩაბარების აქტები.

2.13 სახელფასო განაცემი

ხელფასები ექვემდებარება დარიცხვის იმავე პერიოდში რომელშიც თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

2.14 დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა .

2.15 ცვეთა

ძირითადი საშუალება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, საწარმომ უნდა ასახოს გადაფასებული ღირებულებით (რაც გადაფასების მომენტისათვის მისი რეალური ღირებულების ტოლი იქნება), შემდგომში დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლებით. გადაფასება საკმარისად რეგულარულად უნდა ტარდებოდეს, რათა აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისაგან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მუხლი 202. ქონებაზე გადასახადის განკვეთი - მიხედვით:

4¹. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია გადასახადის გადამხდელს საგადასახადო შემოწმებისას დასაბეგრი ქონების ღირებულება განუსაზღვროს საბაზრო ფასით. აღნიშნული ნორმა არ ვრცელდება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებზე. თუ დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასი აღემატება მის საბალანსო ღირებულებას:

ა) პირს დასაბეგრი ქონების ღირებულების სხვაობაზე დაერიცხება ქონების გადასახადის ძირითადი თანხა. ამასთანავე, აღნიშნულ თანხაზე საურავი დაეკისრება მხოლოდ საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარების დღის შემდეგ 30-ე დღიდან, ხოლო აღნიშნული სხვაობა გადასახადის შემცირებად არ ჩაითვლება;

ბ) პირი ვალდებულია შესაბამისი დასაბეგრი ქონების მიმართ აღნიშნული საბაზრო ფასი გამოიყენოს შემდგომი 3 საგადასახადო წლის განმავლობაში.

2.16 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

2.17 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდის გატანის სანაგარიშგებო თვეში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) .

2.3 ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	99841	265,064
სალარო	9428	7,830

	0	0
სულ	109,269	272,894

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	28,977	37,753
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	0	0
სულ	28,977	37,753

2.5 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	0	0
სხვა მიმდინარე აქტივი	0	0
სულ	0	0

2.6 ძირითადი საშუალებები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ძირითადი საშუალებები	6,034,771	5,954,061
სულ	6,034,771	5,954,061

2.7 არამატერიალურ აქტივები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
არამატერიალური აქტივები	0	0
სულ	0	0

2.8 სავაჭრო ვალდებულებები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	3,145	2,454
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	18,176	17,185
საგადასახადო ვალდებულებები	13,751	54,813
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	4,130	0
სხვა ვალდებულებები	0	0
სულ	39,202	74,452

2.9 გრძელვადიანი ვალდებულებები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	0	0
სულ	0	0

2.11 ამონაგები

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ნეტო ამონაგები	603,090	666,177
სულ	603,090	666,177

2.12 ხარჯი

	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
რპთ	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	226,579	241,399
ცვეთა და ამორტიზაცია	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	76,789	72,539
იჯარის ხარჯი	0	0
სულ	303,368	313,938